საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11638/01
09/11/2021

11638-01-2-202111091805

შპს „ჯდ კაპიტალის“ აღმასრულებელ დირექტორს

ბატონ დავით ჯაშიტაშვილს

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №21/10-06 (სამინისტროს რეგისტრაციით №18167; 08.10.2021) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე შპს „ჯდ კაპიტალის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 სექტემბრის №2-1379 ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულების მიზნით, წარმოდგენილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შეთანხმებას.

გიგზავნით სამინისტროს მიერ 2021 წლის 5 ნოემბერს შეთანხმებულ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

შეთანხმებულია

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტი

"05" 11 2021წ

დამტკიცებულია

შ.პ.ს. "ჯდ კაპიტალი"

დირექტორი

დ. ჯაშიტაშვილი

6 ოქტომბერი 2021 წ

შ.პ.ს. "ჯდ კაპიტალი"-ს ავტოგასამართი სადგური

(ქ. თბილისი, თბილისი-რუსთავის გზატკეცილი)
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში

შემსრულებელი
შ.პ.ს "გეკა"

გ. უბირია

თბილისი 2021

თბილისი-0114. აბო-თბილელის ქუჩა №12. Mob: 579020110. E-mail: ubiriagenadi@yahoo.co

ანოტაცია

წინამდებარე ანგარიში შესათანხმებლად წარმოდგენილია შ.პ.ს. “ჯდ კაპიტალი”-ს თბილისი-რუსთავის მაგისტრალზე, გორგასლის ქუჩაზე ქარხანა ელექტროავტომატის მიმდებარედ მშენებარე ავტოგასამართ სადგურზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად (17.01.18წ №17 ცვლილებით). მასში სისტემატიზებულია ავტოგასამართი სადგურის (შემდგომში “საწარმო”) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები.

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 4 წყარო, მათ შორის 2 არაორგანიზებული. საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნახშირწყალბადები.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური წლიური რაოდენობა შეადგენს 2.1025 ტონას.

სარჩევი

	ანოტაცია ----------		2
	სარჩევი----------		3
1.	ძირითად ცნებათა განმარტებანი ----------		4
2.	ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ----------		5
3.	საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფეროს დაბინძურების თვალსაზრისით----------		6
4.	ტმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათასახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები----------		6
5.	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ----------		7
	5.1.	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიშის მეთოდური საფუძვლები ----------	7
	5.2.	საწარმოს საქმიანობისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში გაფრქვევის წყაროებისათვის (გ-1 – გ-4)----------	8
	5.3.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის ანალიზი -------	9
6.	გამოყენებული ლიტერატურა ----------		10
7.	დანართები ----------		11
		დანართი 7.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება----------	11
		დანართი 7.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება----------	12
		დანართი 7.3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები---------	13
		დანართი 7.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი----------	14
		დანართი 7.5. პროექტის სტრუქტურული სისტემა----------	15
		დანართი 7.6. საკადასტრო გეგმა----------	16
		დანართი 7.7. ამონაწერი პროექტის განმარტებითი ბარათიდან----------	17
		დანართი 7.8. საწარმოს გეგმა გაფრქვევის წყაროებით----------	18

1. ძირითად ცნებათა განმარტებანი

ა) **"ატმოსფერული ჰაერი"** – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) **"მავნე ნივთიერება"** – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) **"ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება"** – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

დ) **"მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო"** – ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);

ე) **"მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო"** – ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

ვ) **"დაბინძურების წყარო"** – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან (და) გაფრქვევის წყარო;

ზ) **"მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა"** – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

თ) **"მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა"** – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ან საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.);

ი) **"ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია"** – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

ლ) **"ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია"** – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30

წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით.

2. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

საწარმოს მშენებლობისათვის დამუშავებულია ბენზინით და დიზელის საწვავით საცალო ვაჭრობის სპეციალიზირებული მაღაზია ავტოგასამართი სადგურის სახით. აგს-ის მშენებლობისათვის ელექტროავტომატიკის საწარმოდან გორგასლის ქუჩის გაგრძელების, თბილისი-რუსთავის მაგისტრალის მიმდებარედ გამოყოფილია 282.0 კვ. მეტრი ფართობი და 12.48კვ. მეტრი ფართის შენობა. სიტუაციური გეგმა და ამონაწერი პროექტის განმარტებითი ბარათიდან მოცემულია დანართებში 7.5 და 7.7-ში.

ავტოგასამართი სადგურის (შემდგომში "საწარმო") მახასიათებლები და სიტუაციური გეგმა, სარეზერვუარო პარკის მოცულობა, მიმღებ-გასაცემი მილმდენების, გასაცემი სვეტების და მსუბუქი საწვავის წლიური ბრუნვის მონაცემებიდან გამომდინარე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები შეფასებულია გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის პროექტით.

ტექნიკური ანგარიშის შედგენაში გათვალისწინებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 24 სექტემბრის № 2-1379 ბრძანებით გათვალისწინებული მაჩვენებლები და ა/წ 5 ოქტომბრის № 10425/01 წერილის შესაბამისი მითითებები.

ობიექტის დასახელება	შ.პ.ს. "ჯდ კაპიტალი" ავტოგასამართი სადგური
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	ქ. თბილისი, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, გორგასლის ქუჩა (ს/კ № 01.18.10.003.071)
იურიდიული	ქ. თბილისი, ზურა ავალიშვილის ქ. №8
საიდენტიფიკაციო კოდი	405401747
კოორდინატები	X-488000; Y-4613050.
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	დავით ჯაშიტაშვილი

ტელეფონი	mob : 593512121
ელფოსტა	Dj.business.gr@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	135,0 მეტრი
ეკონომიკური საქმიანობის სახე	--47.30.1. საცალო ვაჭრობა ბენზინით სპეციალიზირებულ მაღაზიაში; --47.30.1. საცალო ვაჭრობა დიზელის საწვავით სპეციალიზირებულ მაღაზიაში.
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	---
საპროექტო წარმადობა	1. ბენზინი –1.5 მლნ ლ/წელ 2. დიზელი- 1.0 მლნ ლ/წელ
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	---
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალების მიერ გამოყენებულის გარდა)	---
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღედამეში	24

3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

საწარმო საქმიანობის დროს განახორციელებს ბენზინის და დიზელის საწვავის მიღებას, შენახვას და გაცემას (საცალო რეალიზაცია).

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებები გაიფრქვევა ნავთობპროდუქტების ორთქლის სახით. საწარმოს საქმიანობისას მავნე ნივთიერებების გაიფრქვევების ჯამური რაოდენობა (G, ტ/წელი) იანგარიშება შემდეგი გაფრქვევების გათვალისწინებით:

1. საწვავის რეზერვუარებში ჩასხმისას ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევა - ორთქლის ხანმოკლე გაფრქვევები ე.წ. „დიდი სუნთქვა“;
2. საწვავის რეზერვუარებში შენახვისას ორთქლის გაფრქვევა რეზერვუარების სასუნთქი მილებიდან- ე.წ. “მცირე სუნთქვა” რომელსაც ადგილი აქვს მთელი წლის განმავლობაში;
3. ავტომანქანის ავზებში საწვავის ჩასხმისას ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევები

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

მსუბუქი საწვავებიდან ბენზინის ორთქლი სხვადასხვა ჯგუფის ორგანული ნახშირწყალბადების-(ნაჯერი, უჯერი და არომატიზირებული) შემცველია. ბენზინის რეალიზაციის დროს ატმოსფერულ ჰაერში ორთქლის სახით გაიფრქვევა ნაჯერი (ნახშირწყალბადები- C_1- C_5 ; C_5- C_{10}), უჯერი (ამილენები C_5- C_{10}- ის იზომერების ნარევი) და არომატიზებული ნახშირწყალბადები (ბენზოლი-C_6H_6; ქსილოლი-C_8H_{10}; ტოლუოლი-C_7H_8; ეთილბენზოლი- C_8H_{10}). ეს ნივთიერებები კოდირებულია ნახშირწყალბადების სხვადასხვა ჯუფებში: 0401-0499; 0501-0599; 0601-0699. ყველა ამ ჯგუფის ნახშირწყალბადებისა ანგარიშში ავიღეთ საერთო- 0401 კოდის ქვეშ, პირობითად საშუალო მაქსიმალური ერთჯერადი ზდკ 1.0 მგ/მ^3 ფარგლებში.

დიზელის საწვავის ორთქლი ატმოსფერულ ჰაერში გააფრქვევს გოგირდწყალბადს- H_2S და ცალკე ჯგუფად კოდირებულ (2754) ნაჯერ ნახშირწყალბადებს- C_{12}- C_{19}.

ბენზინის ორთქლში შემავალი ნაჯერი ნახშირწყალბადების მასური წილი-92.68%-ია. მათი ზდკ და საშიშროების კლასი ამოღებულია ნორმატიული [8] დოკუმენტიდან. არომატული ნახშირწყალბადების და ამილენების ზდკ 0,02-დან 0,6 მგ/მ^3-მდეა მაგრამ ორთქლში მათი მასური წილი თითოეული მათგანის მცირეა- 0.6-დან 2.5 %-მდე, ჯამური-7.32%.

დიზელის ორთქლში შემავალი ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_{12}- C_{19}) ზდკ 1,0-ია და მასური წილი 99,72%-ია. საშიშროების კლასი 4-ე. გოგირდწყალბადის ზდკ 0,008 მგ/მ^3-ია. გაფრქვევის მასური წილი 0,28%.

ყოველივე ზემოთ მოცემული განმარტებების საფუძველზე [8] ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მახასიათებლები წარმოდგენილია ნახშირწყალბადებისა და გოგირდწყალბადის სახით ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1.

№	მავნე ნივთიერებათა დასახელება (ფორმულა)	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ), მგ/მ^3		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
0	1		2	3	5
1.	გოგირდწყალბადი H_2S (დიჰიდროსულფიდი) CAS კოდი 7783-06-4.	0333	0,008	---------	2
2.	ნახშირწყალბადები (ბენზინის ორთქლიდან)	0401	1.000	----------	4
3.	ნახშირწყალბადები (დიზელის) ალკანების ჯგუფი.	2754	1.000	----------	4

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

5.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიშის მეთოდური საფუძვლები

ბენზინის მიღება-შენახვა და გაცემის (ავტომანქანების გამართვისას) დროს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის მეთოდიკა [5] ითვალისწინებს ჯამური ნახშირწყალბადების (0401) გაფრქვევის რაოდენობის დადგენას ხვედრითი გაფრქვევის კოეფიციენტით, რომლის თანახმად 1 ლ ბენზინის მიღება-შენახვა და გაცემის დროს ატმოსფეროში გაიფრქვევა 1.4 გ ნახშირწყალბადები (0401). 1 ლ დიზელის საწვავის რეალიზაციისას გაიფრქვევა 0.0025გ ნახშირწყალბადები.

1000.0 ლიტრი ბენზინის მასა უდრის 0.730 ტ-ს, 1000.0 ლ დიზელის-0.800 ტ-ს.

5.2. გაფრქვევის ანგარიში ბენზინის და დიზელის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს (გ-1 გ-4 წყაროები)

სარკოფაგში განთავსებულია საწვავის ხუთი ფრაქციისათვის გათვალისწინებული (დაყოფილი) ერთი მიწის ქვეშა 98.0 კუბური მეტრი ჯამური მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარი. აქედან 3 ფრაქცია ბენზინისათვის (ჯამური 41.0მ^3 მოცულობით) და 2-დიზელისათვის (ჯამური 57.0მ^3 მოცულობით). მოწყობილია საწვავით გასამართ 2 სვეტი. რეზერვუარების სავენტილაციო მილები (ე.წ. "სასუნთქი მილები") გამოდის სარკოფაგიდან. ნავთობპროდუქტების ორთქლი ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ბენზინის 3 წყაროდან (გაფრქვევის გ-1 წყარო) და დიზელის ორთქლი- 2 წყაროდან (გაფრქვევის გ-2 წყარო). სასუნთქი მილების სიმაღლე 5.5 მ და დიამეტრი-0.05მ. სასუნთქი მილები აღჭურვილია სარქველებით.

საწარმოს ბიზნესგეგმით დაგეგმილი აქვს საშუალოდ 1.5 მლნ ლიტრი ბენზინის და 1.0 მლნ ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია წელიწადში.

გაფრქვევები ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან:

ბენზინის ორთქლის გაფრქვევებს ადგილი აქვს 3 რეზერვუარიდან და გასამართი სვეტიდან (გ-1 და გ-3 წყაროები). ნახშირწყალბადების ჯამური გაფრქვევა

$$M_{წელ.}=1500\ 000.0ლ\ X\ 1.4გ\ X\ 10^{-6}=2.100\ ტ/წელ.$$

ნახშირწყალბადების გაფრქვევის სიმძლავრე

$$G=2.100\text{ტ}X10^{6}/\ 365X24X3600=0.066\text{გ/წმ}.$$

გაფრქვევები დიზელის სარეალიზაციო უბნიდან:

დიზელის ორთქლის გაფრქვევებს ადგილი აქვს 2 რეზერვუარიდან და 1 გასამართი სვეტიდან (გ-2; და გ-4 წყაროები).

ჯამური გაფრქვევა

$$M_{\text{წელ}}.\ =1000\ 000.0\text{ლ}\ X\ 0.0025\text{გ}\ X\ 10^{-6}=0.0025\ \text{ტ/წელ}.$$

გაფრქვევის სიმძლავრე

$$G=0.0025\text{ტ}X10^{6}/\ (365X24X3600)=7.9*10^{-5}\ \text{გ/წმ}.$$

5.3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის შედეგების ანალიზი

1. საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 2 ორგანიზებული და 2 არაორგანიზებული წყარო.
2. საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური წლიური რაოდენობა შეადგენს 2.1025 ტონას.

6. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 (შეს₩. 2000,2003,2007);
2 საქ. კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, 1999 (შეს₩.2000-2007);
3. ნორმატიულ დოკუმენტთა 2014 წლის რეკომენდაციების განახლებები 2019 წლის ვნისიდან. სანკტ-პეტერბურგი. 2019 წ. --რეზერვუარების დანიშნულება და კლასიფიკაცია;
--ნავთობბაზები-განმარტებები და კლასიფიკაცია;
--ავტოგასამართი სადგურები-კლასიფიკაცია, ტერმინები და განსაზღვრებები;
--ნავთობბაზების ობიექტები და მათი განთავსება;
--ნავთობბაზების კლასიფიკაცია და მათი მწარმოებლური ოპერაციები.
4. მეთოდური მითითება “რეზერვუარებიდან ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის განსაზღვრა”. РД 0212.1-97, მინსკი, 1997
5. ნავთობისა და გაზის აღჭურვილობის დანადგარებიდან გაფრქვევის არაორგანიზებული წყაროებიდან გარემოში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშების მეთოდიკა РД-39. 142-00; 2001 წ, რუსეთის ფედერაცია.
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 42, 2014 ₩ 6 იანვარი - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე (17.01.18₩ №17 ცვლილებით);
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 435, 2013 ₩ 31 დეკემბერი- “დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სატანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”;
8. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი-ეკონომიკური საქმიანობის სახეები- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 ₩ 22 დეკემბრის №1-1/282 ბრძანება.
9. “ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ’ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2935 08. 12. 08₩ 2018 წლის ცვლილებებით;
10. ატმოსფეროს დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩამონათვალი და კოდები. სანკტპეტერბურგი-2010₩;
11. საქართველოს კანონი- “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი” 2017₩.
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ №383, 2018₩ ივლისი;
13. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმირებისა და კონტროლის მეთოდური მითითება-თავი 1.2.3. „რეზერვუარები და ავტო გასამართი სადგურები“- 2002წ.-----პეტერბურგი;

7. დანართი: დანართი 7.1.

საინვენტარიზაციო ფორმა №1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერება-თა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო დღე-ღამ„ სთ	მუშაობის დრო წელი-წადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბენზინის უბანი	გ-1	მილი	3	№1 №2 №3	რეზერვუარი	3	24.0	8760.0	ნახშირწყალბადები	0401	2.100
	გ-3	არაორგანიზებული	1	№500	გასამართი სვეტი	1					
დიზელის უბანი	გ-2	მილი	1	№4 №5	რეზერვუარი	2			ნახშირწყალბადები	2754	0.00249
	გ-4	არაორგანიზებული	1	№501	გასამართი სვეტი	1			გოგირდწყალბადი H_2S	0333	0.00001

დანართი 7.2. საინვენტარიზაციო ფორმა №2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები, მ		ირჰაერმტვერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მავნე ნივთიერების კოდი	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები საწარმოს კოორდინატთა სისტემაში, მ.					
									წერტი-ლოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროს			
											ერთი ბოლოს-თვის		მეორე ბოლოს-თვის	
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა, ხაზობრივი წყაროსთვის მისი სიგრძე	სიჩქარე, მ/წმ	მოცუ-ლობა მ³/წმ	ემპერატურე, t^0C		გ/წმ	ტ/წელი	X	y	X_1	y_1	X_2	y_2
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გ-1	5.50	0.05	1.40	0.003	20.0	0401	0.066	2.100	14.0	-21.0				
გ-3	2.00	0.50	0.003	$6.6*10^4$					21.0	11.5				
გ-2	5.50	0.05	1.40	0.003		2754	$7.9*10^{-5}$	0.0025	10.5	-20.0				
გ-4	2.00	0.50	0.003	$6.6*10^4$		0333			10.5	11.0				

დანართი 7.3. საინვენტარიზაციო ფორმა №3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობების		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ^3		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გაწმენდის ხარისხი, %		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების უზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება და ტიპი	რაოდენობა, ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური	ნორმატიული	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	

შენიშვნა: აირმტვერდამჭერი მოწყობილობები ტექნოლოგიით არ არის გათვალისწინებული

დანართი 7.4. საინვენტარიზაციო ფორმა №4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი

მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შესულიდან დაჭერილია		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთან შედარებით, (სვ.7/სვ.3) X 100
			გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის უტილიზირებულია		
კოდი	დასახელება		სულ	ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
0333	გოგირდწყალბადი H_2S (დიჰიდროსულფიდი) CAS კოდი 7783-06-4.	0.00001	0.00001	--	--	--	--	0.00001	--
0401	ნახშირწყალბადები	2.100	2.100	--	--	--	--	2.100	--
2754	ნახშირწყალბადები	0.00249	0.00249	--	--	--	--	0.00249	--

დანართი 7.5. პროექტის სტრუქტურული სისტემა



დანართი 7.6.

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 01.18.10.003.071

განცხადების ნომერი: 882021152050

მომზადების თარიღი: 16/03/2021

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ფართობი 2618 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, 22; ტელ: (995 32) 2 25 15 28; http://napr.gov.ge

დანართი 7.7. ამონაწერი პროექტის განმარტებითი ბარათიდან

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

- საპროექტო ობიექტის სტრუქტურას წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტისა და მაღაზიის შენობის გაძლიერებული ბეტონის კოჭოვან ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, რიგელებისგან და გადახურვის ფილისაგან. შენობები ერთსართულიანია. სწრაფი კვების ობიექტის ფასადი,რომელიც ორიენტირებულია საავტომობილო მაგისტრალისაკენ - შემინულია შავი ფერის ალუმინის პროფილით დამზადებული ვიტრაჟებით და მოპირკეთებულია დეკორატიული აგურის ფრაგმენტული ჩანართებით, შენობის სახურავი ერთქანობიანია და მთელს პერიმეტრზე შემოკავებულია პარაპეტით.

მაღაზიისა და საოპერატოროს შენობის ფასადი ორიენტირებულია აგს-ის ფარდულისაკენ და ანალოგიურად სწრაფი კვების ობიექტისა, შემინულია შავი ფერის ვიტრაჟებით.

ავტოგასამართი ფარდულის ძირითადი სტრუქტურა შეწყვილებულ ლითონის საყრდენ სვეტზე დამონტაჟებული ლითონის კოჭების სისტემაა, რომლებზედაც ეწყობა გადახურვა. გადახურვის პერიმეტრი და საყრდენი სვეტები მოპირკეთებულია სარეკლამო დეკორატიული თეთრი და შავი ფერის კომპოზიტური მასალის დეკორატიული ფილებით.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

- ავტოგასამართი სადგურის სამშენებლო პროექტის მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ. დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“;

-საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წ. დადგენილება №63, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული ნორმატივების აღწერა:

პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #60 : „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილების მიხედვით.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, პროექტში დაცულია ამ რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. კერძოდ: ტექნოლოგიურ დანადგარებს შორისი და ტექნოლოგიურ დანადგარებსა და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის შეზღუდვის ზონები (მანძილები მეტრებში) მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის "NFPA"-ს მიერ დამუშავებული, ავტოგასამართ სადგურებსა და ავტოგასამართ კომპლექსებზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტის : NFPA-30A - ს შესაბამისად.

დანართი 7.8. საწარმოს გეგმა გაშრძვევის წყაროებით. 1:700



ჭსპლიკაცია: 1. სარკოფაგი; 2. გასამართი სვეტები; 3 მართვის პულტი; 4. X- Y კოორდინატთა ნულოვანი წერტილი